რესპირატორულ სინციტიალური ვირუსული ინფექციით (RSV) გამოწვეული პედიატრიული ჰოსპიტალიზაცია 2023-2025 წწ საქართველოში

რესპირატორულ სინციტიალური ვირუსი (RSV) მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში რესპირატორული ინფექციებით გამოწვეული პედიატრიული ჰოსპიტალიზაციის წამყვან მიზეზს წარმოადგენს. სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოში RSV-ის გავრცელება ემთხვევა სეზონურ გრიპის ვირუსების ცირკულაციას. პედიატრიულ პაციენტებში, განსაკუთრებით 5 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხშირად იწვევს ქვედა სასუნთქი გზების მძიმედ მიმდინარე გართულებებს.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა, ჰოსპიტალიზირებული პაციენტების ცხვირ-ხახის ნაცხის ნიმუშები, რომლებიც მიღებულია თბილისის იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოდან 2023-2025 წლებში. იაშვილის კლინიკა წარმოადგენს ცენტრალურ ადგილს, მწვავე რესპირატორული ინფექციების (SARI) მქონე ბავშვებისთვის. აღნიშნული ნიმუშები გამოკვლეულ იქნა რესპირატორულ სინციტიალურ ვირუსზე პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის გამოყენებით.

ჰოსპიტალიზებული SARI შემთხვევებიდან, 2023 წლის 40-ე კვირიდან 2024 წლის 20-ე კვირამდე, იაშვილის კლინიკიდან გამოკვლეულია 717 ჰოსპიტალიზირებული პაციენტის ნიმუში, საიდანაც ლაბორატორიულად დადასტურდა რესპირატორულ სინციტიალური ვირუსის 232 შემთხვევა. ხოლო 2024 წლის 40-ე კვირიდან 2025 წლის 20-ე კვირამდე, გამოკვლეულ იქნა 739 ჰოსპიტალიზირებული პაციენტის ნიმუში, საიდანაც ლაბორატორიულად დადასტურდა RSV-ის 106 შემთხვევა. აღნიშნულ ნიმუშებში, სხვა რესპირატორულ ვირუსებთან შედარებით ყველაზე ხშირად იდენტიფიცირებული პათოგენი იყო RSV, რომელიც შეადგენდა 2023/2024 წლების სეზონზე 33%-ს (232/717) და ამავე სეზონზე RSV-ის შემთხვევების

დაახლოებით 50% (142/281) გამოვლენილ იქნა 1 წლამდე ასაკის ბავშვებში (OR 3,93; 95% CI 2.81-5.51; p< 0.0001). ხოლო 2024/2025 წლების სეზონზე RSV-ის შემთხვევებმა შეადგინა 14%-ი (106/739), მათგან დაახლოებით 27% (77/282) დადასტურებილი იქნა 1 წლამდე ასაკის ბავშვებში(OR 5,44; 95% CI 3,45-8,61; p< 0.0001).

რესპირატორულ სინციტიალური ვირუსი მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში რესპირატორული ინფექციებით გამოწვეული პედიატრიული ჰოსპიტალიზაციის წამყვან მიზეზს წარმოადგენს. RSV ვირუსის გენეტიკური შესწავლა და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა მნიშვნელოვანია ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისთვის, განსაკუთრებით იმუნიზაციის კუთხით.